დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Local Council (Sakrebulo) of Dmanisi Municipality

1700 ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. 41
ტელ.: 0 (360) 22-24-224, 22-16-40

41,Tsminda Nino Street, 1700 Dmanisi town, Georgia
Tel.: 0 (360) 22-24-24, 22-16-40

27 მარტი 2015 წელი ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №30

საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'' 88-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, დანართის თანახმად.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ლერი ბერუაშვილი

დმანის.ის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და გარდამავალი ნაშთის გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 4500,9 ათას ლარს; მათ შორის: გადასახადები - 2000,0 ათასი ლარი, გრანტები - 1075,9 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1395,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 30,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება რვაჯერ, მათ შორის, ერთი შემთხვევა წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის მიმართვა ხარჯების დასაფარავად, ხუთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის №34, №781, №471, №2540 და №1404 განკარგულებით გამოყოფილი თანხების შესაბამისად და ორ შემთხვევაში კლასიპიკაციის მუხლებს შორის გადაადგილებით.

2014 წლის განმავლობაში დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 101.2% (გეგმა 6661.7 ათასი ლარი, ფაქტი 6741.6ათასი ლარი), მათ შორის:

ა) გადასახადები: ქონების გადასახადი საწარმოთა ქონებაზე - 83.4% (გეგმა 2000,0 ათასი ლარი, ფაქტი - 1667.6 ათასი ლარი); ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 95.5% (გეგმა 640.0 ათასი ლარი, ფაქტი 611.0 ათასი ლარი); ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 49.8% (გეგმა - 60,0 ათასი ლარი, ფაქტი - 29,9 ათასი ლარი);

ბ) გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 99.3% (გეგმა - 3266.7 ათასი ლარი, ფაქტი - 3244.0 ათასი ლარი);

გ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 131.2% (გეგმა - 1395.0 ათასი ლარი, ფაქტი - 1830.0 ათასი ლარი);

დმანისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები დაგეგმილი იყო 7141,7 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია 6809,7 ათასი ლარი ანუ 95,4 %.მათ შორის:

– წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები – 97,3 % (გეგმა - 2050,9 ათასი ლარი,ფაქტიური - 1994,9 ათასი ლარი);

– ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება - 100% (გეგმა - 64,0 ათასი ლარი, ფაქტიური - 64,0 ათასი ლარი);

– საგანგებო სიტუაციების მართვა - 99,4% (გეგმა - 165,0 ათასი ლარი, ფაქტიური - 164,0 ათასი ლარი);

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები - 93,2% (გეგმა - 3839,5 ათასი ლარი, ფაქტიური - 3579,0ათასი ლარი);

– საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 98,7%, რომლის გეგმა განსაზღვრული იყო - 300,0 ათასი ლარი, ფაქტიური - 296,0 ათასი ლარი;

– სპორტული და კულტურული ღონისძიებების სუბსიდირებაზე -98,7% (გეგმა - 487,9 ათასი ლარი, ფაქტიური - 481,5 ათასი ლარი);

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისათვის -98,2% (გეგმა - 234,4 ათასი ლარი, ფაქტიური - 230,2 ათასი ლარი);

ზემოთაღნიშნული ხარჯებიდან:

ა) შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 1264,0 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 18,6 % შეადგენს;

ბ) საქონელი და მომსახურების გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1059,4 ათასი ლარი, ანუ

კომუნალური ხარჯები - 1,9 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 1,7 %;

გ) სუბსიდიები - 11 %;

დ) სოციალურ უზრუნველყოფაზე - 4,1 %;

ე)სხვა ღანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე-7,3

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 50,8 %;

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი ბრძანების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გაცემული იქნა 69,8 ათასი ლარი; მათ შორის: სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების აღდგენისათვის - 21,9 ათასი ლარი, ერთჯერადი დახმარების სახით - 5,6 ათასი ლარი.დიდთოვლობის შედეგად ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაწმენდაზე 3,6 ათასი ლარი,უმწეოთა სასადილო დაფინანსდა 4,1 ათასი ლარით, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია -11,4 ათასი ლარი და გზების რეაბილიტაცია - 5,0 ათასი ლარი.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე გარდამავალი ნაშთის მოცულობამ შეადგინა 471,4 ათასი ლარი მათ შორის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები შეადგენს 40,4 ათას ლარს.